ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5149637

ნომერი: AR1768256

თარიღი : 09.09.2020

გაცემის თარიღი : 19.10.2020

გაცნობის თარიღი : 20.10.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ახვლედიანი პ/ნ 01005009901
- უნივერსიტეტის ქუჩა 24

ორგანიზაცია:

- შპს "ჩემი სახლი" კოდი: 400119073

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 17 აგვისტოს №AR1768256 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599018 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2020 წლის 30 სექტემბრის №5124628 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა შევსებული. კერძოდ, არ არის დაზუსტებული მოთხოვნა საოფისე და დამხმარე ფართობებთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის წარმოდგენილი სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599018 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური, „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული 0.000, +3.400, +6.800, +10.200, +13.600 და +17.000 ნიშნულის გეგმები.

განგიმარტავთ, რომ წარმოდგენილ გეგმებზე დატანილი საერთო სარგებლობის სან. კვანძებისა და სამზარეულოს ფართობები წარმოადგენს დამხმარე ფართებს, ხოლო, წარმოდგენილი გეგმების მიხედვით შეყვანილია საოფისე ფართობში. შესაბამისად, საერთო სარგებლობის სან. კვანძებისა და სამზარეულოს ფართობები შეყვანილ უნდა იქნას დამხმარე ფართობში და აქედან გამომდინარე დაზუსტებულ უნდა იქნას მოხოვნა საოფისე და დამხმარე ფართობებთან დაკავშირებით. ამასთან, ვინაიდან, სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599018 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები დამუშავებულია „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად, ხოლო, წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია აღნიშნული გეგმების ჩანაცვლება, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად დამუშავებული, სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599018 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური 0.000, +3.400, +6.800, +10.200, +13.600 და +17.000 ნიშნულის გეგმები, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩევნებლების შესაბამისი ექსპლიკაციების დატანით, გეგმარების ცვლილების გარეშე (სხვა სართულის გეგმების წარმოდგენა საჭირო არ არის).

ვინაიდან, სამსახურის 2020 წლის 30 სექტემბრის №5124628 ბრძანებას გაეცანით 2020 წლის 01 ოქტომბერს, ხოლო ხარვეზის გამოსწორების მიზნით განცხადება სამსახურში წარმოადგინეთ 2020 წლის 16 ოქტომბერს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 სამუშაო დღიდან დარჩენილია 20 (ოცი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თქვენი 2020 წლის 17 აგვისტოს №AR1768256 განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge